

საზღვრულის რიცხვი სიმრავლის აღმნიშვნელ
მსაზღვრელთან

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებს ყოველგვარი სახელი: არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი, ნაზმნარი სახელები. საზღვრულთან სინტაქსური ურთიერთობის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს რიცხვითი სახელით გადმოცემული მსაზღვრელი.

მსაზღვრელად გამოიყენება როგორც გარკვეული რიცხვის აღმნიშვნელი სახელები (ორი მოსწავლე, მეთექვსმეტი კლასი, მეხუთედი ნაწილი), ისე გაურკვეველი რიცხვის აღმნიშვნელები (ბევრი მეგობარი, მრავალი შემთხვევა, რამდენიმე წელი, ყველა წიგნი...). პირველი რიგის მსაზღვრელებთან საზღვრული, როგორც წესი, მხოლოდობით რიცხვში დგას და ეს ქართული სალიტერატურო ენისათვის ნორმად არის მიჩნეული მისი უძველესი პერიოდიდან დღემდე¹. ჩვენ განვიხილავთ სახელის ურთიერთობას მეორე რიგის მსაზღვრელ სახელებთან — ატრიბუტული მსაზღვრელების ერთ წყებასთან, რომელიც შინაარსით სიმრავლეზე მიუთითებს და საზღვრულ სახელს თუმც არა-ზუსტად, მაგრამ მაინც რიცხობრივად ახასიათებს.

ამ რიგის მსაზღვრელებად უნდა მივიჩნიოთ:

1. გაურკვეველი რაოდენობის აღმნიშვნელი ზედსართავი სახელები: აუარებელი, აურაცხელი, ბევრი, დიდძალი, მრავალი, ნაირ-ნაირი, უამრავი, უანგარიშო, უზომო, უთვალავი, ურიცხვი ცოტა (//ცოტ-ცოტა), აგრეთვე ზედსართავი ფუნქციით გამოყენებული ზმნისართი ბლომად² და არსებითი სახელები: ზღვა³, მიღეთი, ქვეყანა⁴.

¹ აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973 წ., გვ. 85; ივ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნვა და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957 წ., გვ. 282-283; ლ. კვაპაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, 1966 წ., გვ. 117.

² მაგ.: ბლომად სტუმრები ჰყავდა (ვაჟა).

³ მაგ.: ზღვა ხალხი იდგა, ზღვა მასალა მქონდა...

⁴ მაგ.: ქალაქში მიღეთის ხალხი ირევა, ქვეყნის საქმეს გააყე-

2. განსაზღვრებითი ნაცვალსახელები: ყველა, ყოველი, სხვადასხვა, ცალკეული.

3. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები: ზოგი, რამდენიმე.

4. ჩვენებითი ნაცვალსახელები: ამდენი, მაგდენი, იმდენი.

5. კითხვითი ნაცვალსახელი რამდენი.

6. რაოდენობითი რიცხვითი სახელი ათასი⁵ და განსაზღვრული რიცხვის აღმნიშვნელ ფუძეებზე დაყრდნობით მიღებული სახელები: ათეული, ასეული, ათასეული, არაერთი, თითო-ოროლა. შინაარსის მიხედვით მათ გვერდით დადგება რთულფუძიანი ზედსართავები: მრავალათეული, მრავალასეული, მრავალათასიანი, მრავალმილიონიანი.

7. ჩამოთვლილ სახელთაგან ზოგიერთი რთულ ფუძეს ქმნის -ნა-ირ(ი) და -გვარ(ი) ელემენტებთან შერწყმისას და ვიღებთ: ამდენნაირი, ბევრნაირი, იმდენნაირი, მრავალნაირი, რამდენნაირი, რამდენიმენაირი, სხვადასხვანაირი, ყოველნაირი, ათასნაირი; ამდენგვარი, ბევრგვარი, იმდენგვარი, მრავალგვარი: ნაირგვარი, რამდენგვარი, რამდენიმეგვარი, სხვადასხვაგვარი, ყოველგვარი, ათასგვარი. აღნიშნული სახელები საგანს ახასიათებენ როგორც ნიშნის (თვისების), ისე რაოდენობის თვალსაზრისით. ამიტომ ისინიც მოექცევიან განუსაზღვრელი რაოდენობის გამომხატველ მსაზღვრელთა შორის.

8. -ობ-ით სუფიქსით ნაწარმოები ზმნისართული წარმოშობის ზედსართავი სახელები: ათობით, ათეულობით, ასობით, ასეულობით, ათასობით, ათეულათასობით, ასეულათასობით, მილიონობით, მილიარდობით.

9. არსებითი სახელები რიგი და წყება განსაკუთრებულ შეხამებაში: (მთელი) რიგი სტუდენტები, (ერთი) წყება მანქანები და მისთ.

ამგვარად, განუსაზღვრელი სიმრავლის აღსანიშნავად თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა იყენებს ექვს ათეულზე მეტ სახელს. მათგან საზღვრულთან სინტაქსური ურთიერთობის თვალსაზრისით მსგავს თვისებებს ამჟღავნებს პირველ შვიდ პუნქტში ჩამოთვლილი სახელები. ამიტომ მათ ჩვენ ქვემოთ ერთად განვიხილავთ. ცალცალკე განხილვას მოითხოვს -ობ-ით სუფიქსით ნაწარმოები სახელებითა და რიგი და წყება არსებითი სახელებით შედგენილი შესიტყვებები.

თებს და ა. შ. ფორმის მიუხედავად ეს მსაზღვრელებიც ატრიბუტულთა რიგში ექცევა.

⁵ მაგ.: მის სადიდებლად ჩვენც შეეხვდეთ უშიშრად ათასს მახვილსა (გრ. ორბ.); მყარი შესიტყვება „ათასი წვრილმანი“ და მისთ.

I. განუსაზღვრელი რაოდენობის აღმნიშვნელ სახელებს ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში სხვაგვარადაც იხსენიებენ: „გაურკვეველი რიცხვის აღმნიშვნელი სახელები“, „სიმრავლის გადმომცემი სახელები“⁶. როგორც უკვე ვნახეთ, ეს სახელები სხვადასხვა წარმოშობისაა. განსხვავებულია მათი ასაკიც. ამგვარ მსაზღვრელთა უმეტესობა (ამდენი, იმდენი, აუარებელი, ზოგი, მრავალი, უამრავი, უანგარიშო, უთვალავი, ურიცხვი, ყოველი...) დასტურდება უკვე ძველი და ე. წ. საშუალო ქართულის ძეგლებში; ნაწილი, როგორც ჩანს, უფრო გვიანდელი წარმოშობისაა, ზოგი მათგანი კი სულ ახლახან, შეიძლება ითქვას, ჩვენ თვალწინ დამკვიდრდა და გააქტიურდა მხატვრული ლიტერატურისა და განსაკუთრებით პრესის ენაში.

ამგვარ სახელებს საერთო ისა აქვთ, რომ შინაარსით აღნიშნავენ ერთზე მეტს, მრავალს. ამიტომ ისინი მსაზღვრელად მხოლოდ მაშინ გამოიყენებიან, როცა დასაშვებია საზღვრულით აღნიშნული საგნის მრავლად არსებობა ან მრავლად წარმოდგენა.

სახელი, რომელსაც განუსაზღვრელი რაოდენობის აღმნიშვნელი სიტყვა ახლავს, წინადადებაში შეიძლება იყოს ქვემდებარე, განსაზღვრება, ყველა სახის დამატება და გარემოება. იგი შეგვხვდება როგორც მარტივ შესიტყვებაში, ისე რთულში, მარტივ წინადადებაში, შერწყმულში და რთულის ყველა სახეობაში. ამგვარმსაზღვრელიანი შესიტყვება შეიძლება იყოს კონტაქტურიც და დისტანციურიც (გათიშული). კონტაქტურ შესიტყვებათა შემთხვევები უფრო ხშირია და მათს უდიდეს უმრავლესობაში მსაზღვრელი პრეპოზიციურია⁷. დასახელებული სიტყვათშესამებები საკმაოდ ხშირად იხმარებოდა ქართული ენის განვითარების ყოველ ეტაპზე. განსაკუთრებით აქტიურია ის დღევანდელი ქართული პუბლიცისტიკისა და პრესის ენაში.

6 პროფ. აკ. შანიძე ამ ტიპის ერთ-ერთ სახელს (მრავალს) „განუსაზღვრელ რიცხვითს“ უწოდებს (იხ.: ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973, გვ. 58).

7 ჩვენ მიერ ძველი და საშუალო ქართულის ძეგლებიდან ამოწერილი ათასზე მეტი მაგალითიდან თხუთმეტიოდესა პოსტპოზიციურ მსაზღვრელიანი. ნიმუშად: წამოიღეს ტყუე-ალაფი უამრავი („ქართლ. ცხ.“); ვასცა განძი ურიცხვი გლახაკთა ზედა (საბა); არცა აქუს ძალი... და არც სალარო უთვალავი („მეფ. სალ.“)... ამგვარი წყობა უმეტესად ლექსის საჭიროებით არის გამოწვეული. მაგ.: ხოსროს ებრძანა მეფესა ფიცითა აუარებით (გალექსილი „ამირანდარ.“); თვით საქონელი ურიცხვი — გაცემა მათი წესია („ომანი.“); გიდგს ლაშქარი უთვალავი („ომანი.“); მისდევს ჯარი უამრავი („შაშნავაზ.“)...

არსებითად ამგვარივე ვითარებაა ახალ და თანამედროვე ქართულში: პოსტპოზიციურად მსაზღვრელის გამოყენება, როგორც წესი, სტილისტიკურ მიზნებს ემსახურება.

აღნიშნული ტიპის მსაზღვრელი რაოდენობრივად, სიმრავლის თვალსაზრისით ახასიათებს მასთან შეხამებულ სახელს. ამიტომ ამ უკანასკნელისათვის მხოლოდობითი რიცხვის ფორმა ბუნებრივი უნდა ყოფილიყო. მართლაც, როგორც ძველი, ისე საშუალო ქართულის მასალა ადასტურებს, რომ ამგვარმსაზღვრელიან შესიტყვებათა დიდ უმეტესობაში საზღვრული მხოლოდობით რიცხვშია. მაგრამ ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ეს არაა ერთადერთი წესი. იქვე, იმავე ტექსტებში გაურკვეველი სიმრავლის აღმნიშვნელ მსაზღვრელთან საზღვრული არაიშვიათად მრავლობით რიცხვშიც დგას. ეს ფაქტი ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია⁸. ჩვენ მიერ დამოწმებული მაგალითები მხოლოდ მის ილუსტრაციას ისახავს მიზნად⁹.

საზღვრული მხოლოდობითია

აწე შე ესდენი ხანია ამდენი სამეფო დამიპყრია („რუსულ.“).

აუარებელი ფიცო, პირი და სიგელი დაგიწერეთ („საქ. სიძვ.“).

ბევრი აქიმი იქნების, მაჯითა შეატყოს სნეულსა („უხწ. კარ.“).

ზოგსა დღესა შეიბნინა ცხენითა და ზოგსა დღესა — ქუეითნი („მატ. ქართლ.“).

...რამდენის ფარის საფიცარი იყოს, იმდენი მოფიცარი შევარდების („სამ. ძეგლ.“).

შეიღეს წე წდისა მის მრავლითა ცრემლითა („კიმ.“).

...არს მრავალგვარი მიმიწო: მწყაზარი, ჩალის, წითელი... („კალმ.“).

და მოსრა ყოველი, რაოდენი ხაზარი პოვა ქართლსა შინა („ქართლ. ცხ.“).

ნახა უამრავი ძელი მდინარესა მოაქეს უკაცურად (საბა).

ქალაქის ბოლოს უანგარიშო თეჯირი, ოთადი და კარავი იღდა („რუსულ.“).

მას უთვალავი ყმა ჰყვანდა, ძალგულოვანი, ხმლიანი („შვ. მთ.“).

და შემოგვიდგეს ჩუენ ბარბაროზნი და მოსრეს ერისა ჩუენისაგან ურიცხვსული („ლიმონ.“).

და ყოველი ქალაქი და თვით მეფე და დედოფალი ცრემლითა ილტობოდეს („ცხ. ნინოხი“).

საზღვრული მრავლობითია

ამდენ სპილოებს ნუ დამიხოტო (თიემ. II).

ინატრეს ბევრმან ვაჟებმან: ნეტავინ ეს მასწავლაო (არჩ.).

8 იხ. ნ. ბასილაია, ქართული მართლწერის ძირითადი საკითხები, 1956 წ.; ივ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნებათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957 წ.; ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, 1966 წ.; გ. შალამბერიძე, უტკბესი და უმწარესი, 1968 წ.; აკ. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, 1973 წ. და სხვ.

9 ივ. იმნაიშვილის დასახელებულ ნაშრომში უამრავი მასალაა წარმოდგენილი ძველი ქართული ტექსტებიდან. ამიტომ აქ მათს უხვად დამოწმებას მოვერიდეთ.

იმ დენის ვეზირებით ხუთი დღე და ღამე იმა საპრობალებში ეყარნენ („უარამ.“).

ესე შაბი მრავალგვარსა ერბოებსა, ზეთებსა, რძეებსა, მაწონსა... გამცნებს („იად. დაუდ.“).

ნახეს, რომ მრავალი ოთახები იყო გამოჭრილი („უარამ.“).

მათის სახმარად ერთი მდივანი და რამტელიმე მწერალნიც განუწყვეთ („სჯულ.“).

მუნ წარმოდგეს საღვინენი, ლალის თასი, ოქროს ჯამი, უამრავი საფენენი („შაჰნამე“).

ჭამა გარიგდა, მოიღო უანგარიშო ხონები („შაჰნავაზ.“).

ურიცხვი ბედლები უჩვენა ხვარბლითა და ქერთა სახე (საბა).

... ობლების მფარველად განგვიწყებია ყოველ ქალაქებსა შინა თავისის სამძღვრით („სჯულ.“).

ესაა ერთი წყება შემთხვევებისა, როდესაც განუსაზღვრელი რაოდენობის გამომხატველი სახელი იხმარება კონკრეტული შინაარსის მქონე არსებითებთან. მაგრამ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეს მსაზღვრელები განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ე. წ. აბსტრაქტულ, კრებით და ნივთიერებათა სახელებთან, რომლებიც თავისი გამორჩეული მნიშვნელობის გამო, ჩვეულებრივ, მხოლოდობითი რიცხვის ფორმას იგუებენ. ჩვენს მასალაში ასეთი სახელებია: წყალობა, მოღუაწება, ჭირი, ნადველი, ... ერი, ჯარი, ლაშქარი, საქონელი, ფრინველი, ... ოქრო, ვერცხლი, თვალი, მარგალიტი, ... და მათთან თავისი ზრგადი შინაარსით ახლოს მდგომი სახელები: განძი, საბოძვარი, საქურჭლე, სალარო და მისთ. მაგალითად:

რით ვარდებხადო მე, ღმერთო, ურიცხვი შენი წყალობა (დ. გურ.).
ზეგარდმო შენი აუარებელი წყალობა... ნიკოლოზზედ გარდმოფენილ იქმნა („ისტ. საბ.“).

... სანთელსა მას ქალწულებისასა იმარხვიდა და მრავალი მოღუაწება აქუნდა („სინ. მრ.“).

მაგისტვის ვნახე ამ დენი ქირიო, რომ შენ დავადო და ჩემი თაყი მოვარჩინო? („რუსუდ.“).

... დაერთო მწარესა სევდასა უანგარიშო ნადველი უშრეტი („რუსუდ.“).

ლაშქარი და ლახტოსანი უამრავი შეგვეყრების („შაჰნამე“).

ყველა იავარ იქმნა — სახელმწიფო, ციხე-ქალაქი, უანგარიშო მონამხევალი („რუსუდ.“).

ბეჭა... მოვიდეს შინა საქონლითა უამრავითა („რუსუდ.“).

თვით საქონელი ურიცხვი — გაცემა მათი წესია („ომინ.“).

... მას ხევა შინა ქარავანი დგა ურიცხვი („ამირანდარ.“).

მას მორჩილებენ სულნი და ურიცხვი სპა-ჯარი, ერი (დ. გურ.).

სხვა გარეთ სახლებში უანგარიშო ფრინველი იხსდა („რუსუდ.“).

უბობა ამირან დარეჯანის ძესა ურიცხვი ოქრო („ამირანდარ.“).

არცა რას ქალი გარგებს, არცა რას ეს ამ დენი ოქრო („რუსუდ.“).

მაგ მსახურებისათვის მადანჩიბაში ბევრს ვერცხლს მოგართმევსო
(„კალმ.“).

ოქრო-ვერცხლი უამრავი, ვისცა უნდა, იპოების („შაჰნამე“).
თვალ-გოვარი, ოქრო-მყარი უამრავი მას უყრია (თეიმ. I).
აუარებელი თვალი და მარგალიტი უბოძეს („ყარამ.“).
მშვიდობით მოსვლა მოულოცეს და გარდამოაყარეს ურიცხვი თვალი
და მარგალიტი („რუსუდ.“).

... და აკიდეს უანგარიშო თვალმარგალიტი, ოქრო და ვერ-
ცხლი, სალარო, განძი („რუსუდ.“).

მეფემ უბოძა მყარებსა უანგარიშო ლარია („შაჰნამე“).

მან მოახსენა: მაძლივეს უანგარიშო ლარ-თვალი („იოსებ-ზილ.“).

ლაშქრითა წინ მივებე, უძღვენ ურიცხვი ზღვენია („იოსებ-ზილ.“).

... ვითა გარდახდა ნაღმი, უბოძა საბოძვარი ურიცხვი („ამირან-
დარ.“).

ენახე განძი აუარებელი (ხაბა).

მათ უბოძა თურქთა მზემან საბოძვარი უთვალავი („შვ. მთ.“).

საბოძვარსა ბევრს, მისცემენ მას საამოს გულისასა (თეიმ. II).

მოახსეს ამდენი, აკიდეს იგი უანგარიშო საჭურჭლე მავრიდ დე-
დოფლისა („რუსუდ.“).

აქუს უამრავი საჭურჭლე, აბჯარი, ოქრო და თასი... („შაჰნამე“).

ორთავანვე შრავალი და უთვალავი საუნჯე წავიდა („ომინ.“).

წავიდნენ, მიაქუს სალარო უანგარიშო, ასები („შაჰნამე“).

გაატანეს მზითევი უანგარიშო („რუსუდ.“)...¹⁰

სათანადო მასალის ანალიზი გვარწმუნებს, რომ ძველსა და სა-
შუალ ქართულში გაურკვეველი სიმრავლის აღმნიშვნელ მსაზღვრელ-
თან შეწყობილი საზღვრული სახელის რიცხვი გარკვეულ წესს არ
ექვემდებარებოდა. რიცხვის არჩევისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა
სინტაგმის წევრთა არც პოზიციას და არც დისტანციას. მაგრამ თუ
მაინც ჭარბობს მხოლოობითის შემთხვევები, ეს იმგვარ შესიტყვებათა
ხარჯზე ხდება, რომლებშიაც საზღვრულის შინაარსი იწვევს მხოლო-
ობითის ფორმას. საერთო შთაბეჭდილებას მხარს უჭერს ქვემოთ წარ-
მოდგენილი მაგალითები, რომლებიც ადასტურებს, რომ პარალელური
ფორმები იხმარება ერთსა და იმავე ძეგლში:

ამდონი შუამავალი მომგვარეთ („სამ. ძეგლ.“).

ეს ამდონი წიგნები ამისთვის დავაწყვე აქა (იქვე).

ჩამდენიც სთქვა ბევრი სიტყვა, ჩემთან ვერა გამოჩნდების (თეიმ. II).

10 მრავლობით რიცხვში დასმული საზღვრული ამგვარ შესიტყვებებში იშვიათი
გამონაკლისია და გვხვდება ძირითადად ლექსში (უმეტესად დისტანციურ პოსტ-
პოზიციასში). მაგალითად:

მე გამოთქმად ამა ლექსთა ჭირნი ვნახენ უამრავი („შვ. მთ.“);

თავს გვირგვინი ანათობდა, ლაშქართ სჭვრეტდა უამარსა („შაჰნამე“);

სპანი ბევრი უამრავი ერანიდამ მან მოახსა (არჩ.).

კიდევ გალახვენ ამგვარს კაცს, ზედ დაკვირენ ბევრსა ჯოხებსო (იქვე).
მოიღეს მრავალი ჯამი და ქიქა თვალისა და მარგალიტისა („რუსულ.“).

მოასხეს მრავალი მუნაჯიბნი მეცნიერნი და მათ აჩვენეს (იქვე).

ოდეს კაცსა ... კოქსა ზედა გამოუვიდეს მრავალი მჭდომი, მოკუდეს ოცდა ხუთსა დღესა („რუსულ. კარაბ.“).

საშოსა შიგან მრავალი ძარღუეები არის (იქვე).

რამტელი სახლი გაბარიათ თქვენს საფარველსა ქვეშე („სჯულ.“).

მათის სახმარად ერთი მდივანი და რამტელიმე მწერალნიც განუწესეთ (იქვე).

ნახა უამრავი ძელი მდინარესა მოაქვს უკაცურად (საბა).

მდინარესა უამრავი ძელები მოაქვს (იქვე).

მრავალი უანგარიშო მთა ბარი გადაარბენინა („ყარაბ.“).

ანაზლად უანგარიშო მხეცნი მოვიდნენ (იქვე).

ეპყრა ურიცხვი ქვეყანა, იგი უფლებდა ჩინელთა („ბარამგ.“).

გარდაყრიდნენ დრაკანსა, ურიცხვსა თვალ-გოარებსა (იქვე).

ყოველი ბაშფორთი სამის წლის მეტი არ მიეცემის არაის („სჯულ.“).

ყოველს ობოლთათვის ერთი კეთილი მოინდომონ (იქვე) და სხვ.

ქართული ენის განვითარების შემდგომ ეტაპზე ენაში თანდათან მრავლდება გაურკვეველი რაოდენობის აღმნიშვნელი სახელები. მათთან შეწყობილი საზღვრული სახელის რიცხვი კი კვლავ თავისუფალია — სახელი შეიძლება იდგეს მხოლოდობითშიც და მრავლობითშიც. ზოგადად ამგვარ შთაბეჭდილებას ახდენს როგორც გასული საუკუნის, ისე ჩვენი თანამედროვე ქართული ენა. დავადასტუროთ მაგალითებით:

საზღვრული მხოლოდობითშია

ამდენ საქმეს როგორ ართმევს თავს! (ილია).

ყრილობამ ფარდა ახადა არაერთ უსაქმურსა და ყალთაბანდს („თბილ.“).

გარიბალდს წინ ჰყავს სულ დარჩეული მხედარი და აუარებელი თოფ-ზარბაზანი (გ. წერ.)¹¹.

ხომ არ ამერეოდა ფეხი... აურაცხელი მექანიზმის ლაბირინთებში (კ. მუმლ.).

ათასი ხიფათი თან სდევს მავ გართობას (ვ. ბარნ.).

პასუხად ათეული ნაცნობი ხმა აღტაცებით მიეგება მიტიას (ლ. ქიაჩ.).

ასე ული თვალი ამყად ასვეტილ მისგითს მიეხვინა (მ. ჯავახ.).

¹¹ თანამედროვე მწერალთა ენაში უკანასკნელ ხანს გავრცელდა ამ ზედსართავი სახელის სახეცვლილი ვარიანტი **აუარება**: კიდევ ვიცით აუარება ნივთის სახელი (გ. დოჩან.); რკინიგზის კვანძი... ყოველ წუთს ატარებდა... აუარება ეშელონს (ტ. კვანჭ.); აუარება ხაზი კვეთდა ერთმანეთს (ს. დემურს.); თაფლისფერი თვალეები აუარება ცრემლით პქონდა სავსე (ნ. დუმბ.)...

ზღვის ბევრი წყალმცენარე იხმარება ადამიანის საზრდოდ („ბოტ.“)¹².
დიდძალი ცხენოსანი გამოეცა გმირებს (ვ. ბარ.).

ზოგი დამრტყმელი ციხეს ჰგავს (გ. ლეონ.)¹³.

იმ წყარობშიც აქა-იქ გაკვრით თითო-ორლა ცნობა მოიპოვება
(ივ. ჯავახ.).

შეუბრალებელს ზვაეებს იმდენი მსხვერპლი მიჰქონდა (ალ. ყაზბ.)¹⁴.
ამისგან მრავალი წერო გადადიოდა ყირასა (ვაჟა).

...მას მრავალნაირი ქართული კერძითა და სასმელით
გაუმასპინძლებიან („სოფლ. ცხ.“).

ათასნაირი ფიქრი მებატებოდა თავში და მიკიდებდა ცაცხლსა
(შ. არაგვ.).

სასახლეში ათასგვარი ქორი დაბადეს უკანასკნელმა ამბებმა (ე. გამს.)-
ითათბირეს, დასთქვეს: ...სადაურობას თუ ჰკითხავდათ ვინმე, სხვადასხვა-
გვარი პასუხი მიეცა თითოეულს (ე. გამს.).

ნახავს რამდენი ხელისმომწერი მოაკლდება (ილია).

ბევრი იბასეს გლეხებმა სხვადასხვა საგანზე (ე. ნინ.).

ფილიპო ცას შეპყურებდა, ხედავდა უამრავ ვარსკვლავს (ს. კლდ.).

უანგარიშო ბოდის მოჰყვა დიასახლისი (უიარ.).

შემოიჭრა უთვალავი მესერშიტი (ი. აბაშ.).

...რათ უნდოდათ ... ურიცხვი ფარეში სასახლეში (აკაკა).

ყველა შანდალში ჩაჰქრა სანთელი (გ. ტაბ.).

მე-17 ს. დამლევეს რუსეთში ძალიან ცოტა ქარხანა და ფაბრიკა
იყო („სსრკ ისტ.“).

აბსტრაქტული, კრებითი და ნივთიერებათა სახელები, რომელთაც
მრავლობითი რიცხვი განსაკუთრებული შემთხვევების გარდა არ ეწარ-
მოებათ, განუსაზღვრელი რაოდენობის გამომხატველი მსაზღვრელის
გვერდით ახალ ქართულშიც ყოველთვის მხოლოდობით რიცხვში დგას
(გამონაკლისი ამ მხრივ მხოლოდ შეცდომის შედეგი შეიძლება იყოს).
მაგალითები:

12 ჩვეულებრივ სიტყვახმარებაში ამ ბოლო დროს ბევრი უმეტესად გაძლიერე-
ბულია ძალიან, უზომოდ (იშვითად უანგარიშოდ) ზმნისარტებით: ძალიან ბევრი,
უზომოდ ბევრი დღეს გავრცელებული შესიტყვებებია. გამორიცხული არ არის, რომ
ეს ფაქტი უკავშირდებოდეს ამ სიტყვის თავდაპირველ (კონკრეტულ) შინაარსს.

13 ზოგი-ს პარალელურად და უფრო ხშირად იხმარება ზოგიერთი. ექსპრესი-
ულობისათვის ხშირობენ აგრეთვე ზოგ-ზოგ-ს; ზოგ-ზოგი ცოდვები კი ვი-
ციით... (გ. დოჩ.). ეს ნაცვალსახელი ხშირად იხამებს -გან თანდებულთან ნანათესაო-
ბითარ ფორმას (ზოგი მოხუცებულთაგანი).

14 იმდენი ხშირად იხმარება წინადადებაში რამდენ-თან შეპირისპირებით: იმ-
დენი წელიწადი თქვენ გასძელით, რამდენი ყანწი ღვინო... ჩვენ
დავლიეთ (აკაკი); ხელოვნების არცერთ დარგში ქართველ სტუდენტობას არ მიუ-
ღია იმდენი საერთაშორისო პრემიები, რამდენი პრემიაც
ხვდათ არქიტექტორებს („საბჭ. ხელ.“).

არა მარტო მისმა ღვაწლმა... მოიწვია აქ, ამ საერთო გლოვის ეპოს ამდენი
ხალხი (ილია).

კმარა ამდენი ცრემლის ღერა, კმარა ამდენი წყენაო (ვაჟა).

ქალი... შეწუხებული... ათასი უსამართლობით, დაჰყაბულდა იასა-
ულს (ალ. ყაზბ.).

მას... ათასნაირ სიკეთეს სთავაზობდნენ (მ. ჯავახ.).

ეკიმები თინას კრიალა კანქვეშ უშეებენ ათასგვარ მწარე სითხეს
(რ. ინან.).

მის სახელთან არის დაკავშირებული ქართული საბჭოთა ფერწერის არა-
ერთი გამარჯვება („თბილ.“).

სოფელში... ღამით აუარება მწერი დაბორილობდა (გ. დოჩან.).

ფაშისტების ურდომ შუა რუსეთის მნიშვნელოვანი ნაწილი აურაცხელი
მსხვერპლის ფასად დაიკავა (რ. ჯაფ.).

ამ 30 წლის მანძილზე ბევრი საყურადღებო ღვაწლი დასლო
(ილია).

ორი-სამი კვირის შემდეგ აქ დიდძალ თივას აიღებენ („კომ.“).

არის ზოგი შეცოდება, რომ სათქმელად საძნელოა (აკაკი).

წვიდა მამა და დაგვიტოვა ზღვა საზრუნავი (გ. ჩარკვ.).

ამ პაწაწინა კვირების ფეთქვას ზღვა სიხარული მოუტანია („ახ-
კომ.“).

იმდენი ქება-დიდება, მოწონება ესმოდა (დ. კლდ.).

ამ კანონმაც მრავალი შფოთი ჩამოაგდო ორთა შუა (ილია).

აი, რამდენნაირი... გამოუყენება ჰქონია ამ ორკაბიან ჯოხს („კომ.“).

რომ იცოდე რამდენი ტანჯვა გადავიტანე (ლ. ქიაჩ.).

ეხლა კი სხვადასხვა სწავლა შემოვიდა (ილია).

მალე ღობეებს მოაწყდა უამრავი ხალხი (რ. გვეტ.).

მე კი მსურს თავდავიწყებით, უანგარიშო სიყვარული (ნ. ლორთქ.).

მოზიდეს შეშა უზომო, ცეცხლიც დაანთეს დიადი (ვაჟა).

საიდან მოიპოვა ღარიბი ოჯახის შვილმა ასეთი უთვალავი სიმდიდრე
(ნ. ლორთქ.).

ჰბრძოდნენ გმირულად, სანამ ურიცხვმა მტერმა არ სძლია ისინი
(აკაკი).

თუ კი მე კარგად არ ვიქნებოდი, ქვეყნის სიმდიდრე რა ვშაკად მიწ-
ლოდაო (დ. მაჩხ.).

ასე ეგონათ მიღეთის ჯარი თავს დაგვესხა (შ. არაგვ.).

მიღეთმა ხალხმა მოიყარა თავი სამარესთან (ბ. ჩხ.).

ცოტა მკბენარი დამეხვია, უნდა გავიქეშო — თქვა ძერამ (თ. რაზ.).

სოლიდარობა შემადგენელი ნაწილია ყველა ხალხის მძლავრი საპრო-
ტესტო მოძრაობისა („თბილ.“).

მხოლოდ კრებით სახელებთან იხმარება რთულფუძიანი მსაზღვ-
რელები მრავალათასიანი და მრავალმილიონიანი:

სატყეო მეურნეობის მუშაკთა მრავალათასიანი არმია („კომ.“).

მრავალათასიანი ტრიბუნები დახშული გუგუნით შეეგება გუნდ-
ბის მოედანზე გამოჩენას („ცისკ.“).

ლავრენტი ისეთი ხმით გაჰკიოდა, თითქო მრავალათასიან აუდიტორიას მიმართავსო (თ. მაღლაფ.)¹⁵.

ამ ზეიმში არ მოისმის... მრავალმილიონიანი მუშა ხალხის... ზმა (ლენინი, თარგმ.).

რუსი ფაბრიკის მუშას... არ შეუძლია არ დაუახლოვდეს... დღიური მუშების მრავალმილიონიან მასას¹⁶ (ლენინი, თარგმ.).

საზღვრული მრავლობითშია

... ძვირფასად აქრელებულ სუფრაზედ ათეულის სანთლებით გაჩაღებული კანდელაბრები იდგა (ეკ. გაბ.).

ინგლისისა და ჰოლანდიის ასეულ გემებს საზღვარგარეთიდან მოჰქონდათ უცხოური საქონელი („კომ.“).

ათასეული წლები გასულან, როგორც თვალის დაფახულება ერთი (კ. გამს.).

ათასნაირი ხმები დადის (აკაკი).

რუსეთში ბევრი ყმაწვილები სკოლის შემდეგ წერა-კითხვას ივიწყებნო (ილია).

ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანებები გვაქვს („თბილ.“).

დიდძალი სტუმრები მოიწვიეს (ვაჟა).

საბჭოთა სახელმწიფო ყოველწლიურად დიდძალ თანხებს ხარჯავს („სახ. გან.“).

ზოგი ფესვები კი ეხებოდნენ მიწასა (ი. გოგ.).

განსაკუთრებული „მზრუნველობით“ ეპყრობიან საქართველოდან ჩასულ ზოგ პირებს („თბილ.“).

წამოვიდა იარუსებიდან ზღვა ყვაველები (ს. შანშ.).

თითო-ოროლა ეგვეები მეც ჩემის თვალთ მინახავს (ილია).

ყმაწვილები... თითო-ოროლა ფრაზების თქმას და გაგებას შეიძლებდნენ (გ. წერ.).

... საილუსტრაციოდ თითო-ოროლა მაგალითებით დავკმაყოფილდეთ („კომ.“).

ნეტა რა იქნენ იმდენი ჩიტები? (თ. რაზიკ.).

იმდენი საქმეები გაუჩნდა (შ. დად.).

სამწერლო მაგიდაზე... ეწყო მრავალი ნივთები (ლ. არდ.).

მე მოვალ და მრავალ ყვაველებს მოვიტან (გ. ტაბ.).

აი, რამდენიმე ცნობები ჩვენი რომანის გმირის ვინაობაზე (ე. ნინ.).

კეისარმა პეტრე სარდალს რამდენიმე ჰუნები გააყოლა (ივ. ჭავჭავ.).

ყოველი... კაცი მიდიოდა მუხასთან და მიჰქონდა სხვადასხვა შესაწირავები (გ. წერ.).

15 უკანასკნელ შესიტყვებებში საზღვრულები (ტრიბუნები, აუდიტორია) კრებითი შინაარსის სახელებად გაიზარება.

16 ანალოგიურ შესიტყვებაში მასა ზოგჯერ მრავლობითშიაც გვხვდება: არ შეიძლება მიიზნო პროლეტარიატის მრავალმილიონიანი მასები; (ლენინი, თარგმ.); საჭიროა გლეხობის მრავალმილიონიანი მასების კოაპერირება (ლენინი, თარგმ.)...

დავით არდალაიანი... ხშირად ამავე მიზნით მოგზაურობდა სხვადასხვა გუბერნიებში („ლიტ. საქ.“).

კოლონების თავებზე ღრიალებდნენ უამრავი დროშები (ა. ბელ.).

მგოსანს ჰყავდა უამრავი პატივისმცემლები („სახ. ვან.“).

დროა, დროა, ჩემო ძმებო, ძირიანად ამოვადლოთ უანგარიშო ჯამჯილებით სმა (დ. მაჩხ.).

მისი უთვალავი სხივები ბრწყინვალეობით მოფენინა ცასა და ქვეყანას (ნ. ლომ.).

უკან ვარბიან უთვალავი კილომეტრები (კ. ვიქ.).

დიდი ბრიტანეთის ურიცხვი ქალაქები სავსეა ქარხნებით, ფაბრიკებით... (ი. გოგ.).

თოვს! ურიაშულით ეცემა თოვლი, გადაქცეული ურიცხვ პეპლებად (ა. მაშაშვი.).

ყველა მებატონეებს ბედაურებით საჯინბოები გავსილი ჰქონდათ (აკაკი).

შევიდართო ჩვენი რაიონი სხვა რაიონებს ყველა მონაცემებით („იხგ სკოლაში“).

იქაური ყინვების შიშით სახლს დასათბუნებლად ცოტა სარკმელები აქვს (ალ. ყაზბ.).

მე-4 საუკუნის საქართველოს მდგომარეობაზე... ცოტა ცნობები ადრეული (ივ. ჯავახ.).

ამ ზონის ცალკეულ მიკრორაიონებში... შეიძლება შედიოდეს... მებაღეობა და მეფუტკრეობა („საქ. ბუნ.“).

იმსჯელეს... ბრიგადის ცალკეული წევრების ავკარგიანობაზე (მის. მრევლ.) და ა. შ.

ამგვარად, ახალ და თანამედროვე ქართულშიც, ისე როგორც საერთოდ, ქართული ენის დოკუმენტირებული ისტორიის მთელ მანძილზე, გაურკვეველი რაოდენობის აღმნიშვნელ მსაზღვრელთან დაკავშირებული საზღვრული სახელის რიცხვი ერთ გარკვეულ ნორმას არ იცავს. საზღვრულის ამგვარი „თავისუფლება“ არც არაფრით ჩანს შეზღუდული: ეს დასკვნა ვრცელდება როგორც კონტაქტურ შესიტყვებებზე, ისე გათიშულზე, როგორც პრეპოზიციურ, ისე პოსტპოზიციურ შემთხვევებზე. თანამედროვე ქართული ენის ეს უბანი პარალელურ ფორმათა სიუხვით გამორჩეული უბანია. ამავე დროს სათანადო მასალის ანალიზი გამოავლენს ზოგიერთ კანონზომიერებას, რომელიც აღძრული საკითხის თვალსაზრისით საინტერესო უნდა იყოს. ოღონდ ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ არა რაიმე წესს ან ნორმას, არამედ შემთხვევათა მეტ-ნაკლებ სიხშირეს. ამ თვალსაზრისით კი შეინიშნება შემდეგი:

1. განუსაზღვრელი სიმრავლის გამომხატველი სახელები ერთმანეთისაგან განსხვავდება წარმოშობით, შედგენილობით და შინაარსობრივი ნიუანსებით. აღნიშნულ შესიტყვებათა შედგენისას და ენობრი-

ვად გაფორმებისას ამ განსხვავებულ შინაარსობრივ ნიუანსებს ზოგჯერ შეიძლება გარკვეული მნიშვნელობა აღმოაჩნდეს. მაგალითად, ისეთი სახელები, როგორიცაა **აუარებელი**, **აურაცხელი**, **მრავალი**, **უამრავი**, **უანგარიშო**, **უთვალავი**, **ურიცხვი**, **რამდენიმე**, **არაერთი**, **თითო-ორიოლა...** შინაარსის მიხედვით უფრო გამოკვეთილად აღნიშნავს განუსაზღვრელ სიმრავლეს, ვიდრე სახელები: **ამდენი**, **იმდენი**, **რამდენი**, **ყველა**, **ყოველი**, **ზოგი**, **სხვადასხვა**, **ცალკეული...**, რომლებიც გარდა განუსაზღვრელი რაოდენობისა, მიუთითებენ აგრეთვე შესაღარებელ ობიექტზე (**ამდენი**, **იმდენი...**), შეკრებილ, გაერთიანებულ სიმრავლეზე (**ყველა**) ან პირიქით, განმხოლოებულ, განთითოებულ მრავალზე (**ყოველი**, **ზოგი**, **სხვადასხვა**, **ცალკეული**). ამიტომ პირველი რიგის მსაზღვრელებთან უფრო ხშირად გვხვდება მხოლოდობით რიცხვში დასმული საზღვრული, ვიდრე მეორე რიგის მსაზღვრელებთან. უკაბასკნელთაგანაც ამ მხრივ გამოირჩევა განსაზღვრებითი ნაცვალსახელები **სხვადასხვა** და **ცალკეული**, რომელთაც ყველა სხვა ჩამოთვლილ მსაზღვრელთან შედარებით უფრო ხშირად და უფრო ადვილად შეეწყობა საზღვრული სახელი მრავლობით რიცხვში.

2. დასახელებულ მსაზღვრელთა დიდი უმრავლესობა (**ამდენი**, **იმდენი**, **ბევრი**, **ზოგი**//**ზოგიერთი**, **მრავალი**, **რამდენი**//**რამდენიმე**, **უამრავი**, **უანგარიშო**) შესიტყვებაში უფრო ხშირად უკავშირდება კონკრეტული მნიშვნელობის მქონე საგნის (რომლის გადათვლაც დასაშვებია) სახელებს, მაგრამ გვხვდება აბსტრაქტულ და ზოგადი მრავლობითის შინაარსის მქონე (კრებით, ნივთიერებათა და მისთ.) სახელებთანაც. ზოგი ამ მსაზღვრელთაგანი კი (**აუარებელი**, **აურაცხელი**, **დიდძალი**, **უზომო**, **უთვალავი**, **ურიცხვი**) შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში სინტაგმას ქმნის სწორედ აბსტრაქტულ, კრებით, ნივთიერებათა და ზოგადი მრავლობითის შინაარსის შემცველ სახელებთან¹⁷.

3. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი **ყველა** იხმარება უმეტესად კონკრეტულ სახელებთან. აბსტრაქტულ და სხვა მსგავს სახელებთან მას ზოგჯერ ენაცვლება **მთელი**¹⁸. კონკრეტულ სახელებთან შეწყობის ტენდენცია ეტყობა აგრეთვე მსაზღვრელ სახელს **თითო-ორიოლა**.

4. **-ოდენ** ელემენტის მონაწილეობით მიღებული სახელები (**ამდენი**, **მაგდენი**, **იმდენი**, **რამდენი...**) ფუძის შინაარსით მიუთითებენ

17 ჩვენს მასალაში ამგვარ სახელთაგან საზღვრულად გვაქვს: **სტუდენტობა**, **იმერლობა**, **ხალხი**, **მაყურებელი**, **ამომრჩეველი**, **მარცვლეული**, **ბოსტნეული**, **ნედლეული**, **ნავთი**, **მარგანეცი**, **მიწა-წყალი**, **ხე** და **ბუჩქნარი**, **კოლორადოს ხოჭო**, **იარაღი**, **ძღვენი**, **ქონება**, **მამული**, **ფული**, **ვალი** და **მისთ**.

18 მაგ.: მოქმედებაში ჩააყენეს მთელი არსებები რეზერვები („თბილ.“).

არა მხოლოდ რაოდენობითს ოდენობაზე, არამედ მოცულობითს ოდენობაზეც¹⁹. ქართული სალიტერატურო ენა კარგად არჩევს ერთმანეთისაგან იმდენ და იმოდენ(ა), ამდენ და ამოდენ(ა), მაგდენ და მაგოდენ(ა), რამდენ და რამოდენ(ა) მსაზღვრელ სახელთა მნიშვნელობებს, მაგრამ ზოგჯერ გვხვდება ამ მსაზღვრელთა ე. წ. პარონიმული შენაცვლების შემთხვევებიც. მაგალითად:

მგონი თავზედ იმოდენა ბალანიც არა მქონდეს (ილია).

იმოდენა მკვდარი ამღარა, კაცო, რომ თითოს ოროლი შაური ძლივ შეხვედრია (თ. რაჭიკ.).

ტევა აღარ იყო, იმოდენა სტუმრებს მოეყარათ თავი (ვაჟა).

იმოდენა ჰუნებს გადმოვსხამ პირიქითითგან, რომ სპარსელები წინ ვერც-კი დაუდგნენო (ივ. ჯავახ.).

რამოდენა ნამი დაუღვრია მთვარეს ბალახზე (ს. კლდ.) და ა. შ.

II. განუსაზღვრელი სიმრავლის გამომხატველ მსაზღვრელთაგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თანამედროვე ქართულში გამოიყოფა **-ობ-ით** სუფიქსით ნაწარმოები ზმნისართული წარმოშობის რამდენიმე ზედსართავი სახელი: **ათობით, ათეულობით, ასობით, ასეულობით, ათასობით, ასეულ-ათასობით, მილიონობით, მილიარდობითა**.

მსაზღვრელის ფუნქციით ამ სახელების გამოყენება განსაკუთრებით ბოლო დროს გახშირდა ქართული პუბლიცისტიკისა და პრესის ენაში.

-ობ-ით სუფიქსით ნაწარმოები ზმნისართები საგანგებოდაა განხილული ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში²⁰. ჩვენ გვიანტერესებს ამგვარი წარმოებით მიღებული ის სიტყვები, რომლებიც გარკვეულ კონტექსტში ზედსართავულ მნიშვნელობას იძენენ და იმ მხრივ გამოირჩევიან, რომ შინაარსით აღნიშნავენ არა განმეორებით ერთსა და იმავე ოდენობას (როგორც გვაქვს, მაგალითად, წინადადებაში: კვერცხი **ოცობით** ჭადააწყო), არამედ განუსაზღვრელ ოდენობას გარკვეული, სიტყვის ძირით მითითებული ციფრის ზევით. მაგალითად, წინადადება — **ათობით მოსწავლე** გაერთიანდა... წრეში — გვეუბნება, რომ წრეში გაერთიანდა არა მაინცადამაინც 20, 30, 40 და ა. შ. მოსწავლე, არამედ ბევრი, 20-ზე მეტი მაინც, მაგრამ ზუსტად რამდენი — არ ჩანს.

ამგვარად, **-ობ-ით** სუფიქსით ნაწარმოები ზოგი სახელი შინაარსობრივად აღნიშნავს **ბევრს, მრავალს, განუსაზღვრელ რაოდენობას**, ოღონდ იმით განსხვავდება მსგავსი შინაარსის მქონე სხვა სახელებისა-

¹⁹ მაგ.: ხედავ, რამდენი სინათლეა, რამდენი მზეა? (ა. კალ.).

²⁰ ბ. საბაშვილი, **-ობ-ით** სუფიქსით ნაწარმოები ზმნისართები თანამედროვე ქართულ ენაში: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, II, 1979 წ., გვ. 218-229.

გან, რომ -ობ-ით სუფიქსით ნაწარმოებ სახელებში მინც დაშვებულა ათვლა და განსაზღვრულია სიმრავლის ქვედა ზღვარი. ასე, მაგალითად, ათობით ნიშნავს ორ ათეულზე უფრო მეტს, მაგრამ ზუსტად რამდენს — არ ვიცით. ასევე არ ვიცით რამდენია ასობით, მაგრამ ის არ უნდა იყოს ორასზე ნაკლები, ათასობით — ორი ათასზე ნაკლები და ა. შ.

აღსანიშნავია შემდეგიც: ამგვარად ნაწარმოებ სახელთაგან განუსაზღვრელი რაოდენობის გამოხატვის უნარი აქვს მხოლოდ რამდენიმე სახელს, რომლებიც ეყრდნობა ათი, ასი, ათასი, მილიონი, მილიარდი რიცხვით სახელთა ფუძეებს (ათობით, ათეულობით, ასობით, ასეულობით, ათასობით, მილიონობით, მილიარდობით). განუსაზღვრელი რაოდენობის გადმოსაცემად ვერ ვიხმართ ოცობით, სამასობით, ოთხიათასობით და მათ მსგავს მსაზღვრელებს²¹.

მაშასადამე -ობ-ით სუფიქსით ნაწარმოებ სახელთა ერთი წყება გარკვეულ კონტექსტში ერთსა და იმავე დროს აღნიშნავს როგორც განმეორებითს ოდენობას, ისე განუსაზღვრელ რაოდენობას. ამიტომ ამგვარი სახელების მონაწილეობით შედგენილი შესიტყვებებიც აღძრული საკითხის თვალსაზრისით საინტერესოა.

ამ ტიპის მსაზღვრელებთან შეწყვილებული საზღვრული სახელი თანამედროვე ქართულში, როგორც წესი, მხოლოდობით რიცხვში დგას მაგალითები:

აშენდა კომბინირებული საკვების ათობით ქარხანა („კომ.“).

... სადგურის მუშაკებმა ათობით ექსპედიციამ მოაწყეს („გამარჯვ.“).

... ეს დაეხმარებოდა შრომის ვმირებს საქმისაგან მოუწყვეტლივ შეხვედროდნენ ათეულობით ადამიანს („თბილ.“).

დანგრეულია ათეულობით სახლი („კომ.“).

სამონადირო ძალების ასობით ჯიში არსებობს („თბილ.“).

... ასობით მეომარმა საბრძოლო გმრობა გამოიჩინა („კომ.“).

ასეულობით წლის მანძილზე ადამიანებს გამოუმუშველათ ჩვევა („თბილ.“).

ასეულათასობით ადამიანი გარბის სუსტად განვითარებული ქვეყნებიდან („ჭიათ. მაღ.“).

თავისუფლების კენჭლის ათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი გამოეხმაურა... მოწოდებას („გამარჯვ.“).

ჩვენში ყოველწლიურად ათასობით ტურისტ იჩამოდის უცხოეთიდან („საბჭ. ხელ.“)²².

²¹ შდრ. დასახელებულ ფუძეებზე დაყრდნობით მიღებული ათჯერ, ასჯერ, ათასჯერ... (მყარ გამონათქვამებში: „ათჯერ გაზომე, ერთხელ გაქერი“, „ასჯერ გაფრთხილე“, „ათასჯერ მითქვამს“ და მისთ.), რომლებიც განსაკუთრებულ სიტყვახმარებაში ნიშნავს: ბევრჯერ, მრავალჯერ.

²² გამოწაკლისის სახით: მისი ათასობითი ნიმუში... წარმოდგენას იძლევა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის უთვალავ სიმდიდრეზე („კომ.“).

ამ დღეს მილიონობით ქალი აჯამებს... შედეგებს („ქიათ. მაღ.“).
მილიონობით წლის განმავლობაში მოხდა... გამყინვარება („დროშა“).

III. თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის მონაცემების მიხედვით განუსაზღვრელი სიმრავლის აღმნიშვნელ სახელთა შორის მოექცევა აგრეთვე არსებითი სახელები **რიგი** და **წყება**.

აღნიშნული სახელები იმით გამოირჩევა სიმრავლის გამომხატველი სხვა სახელებისაგან, რომ შინაარსით არ მიუთითებს არც სიმრავლეზე და არც საერთოდ რაიმე ოდენობაზე, ამიტომ ეს სახელები წინადადებაში უმეტესად ქვემდებარე-დამატებებად გამოიყენება. მაგალითად:

ოცნებათ რიგი თვალს მიეფარა (გ. ტაბ.).

ყოველ სახლთან, ყოველ ღობესთან ირხევა თქვენი ჩრდილების რიგი (ვ. გაბესკ.).

რიგი ხმადაბლა ზუზუნებს, წინათ რომ რინით მღეროდა (ი. გრიშ.).

ქარი მთარხევს დროშებს, ჰქუხს ორკესტრების წყება (გ. ტაბ.).

... ექსოვებიან ოქროს ძაფით ლოდების წყებას (ვაჟა).

ახალ კვარტალთა წყებებს დაუფარავთ ერთ დროს ქაობიანი საბურთალოს მინდორი („კომ.“) და ა. შ.

მსაზღვრელის ფუნქციით გამოყენებისას არსებით სახელს **რიგი** ამ ბოლო დროს უმეტესად ახლავს სხვა მსაზღვრელი და გვაქვს **მთელი რიგი** (ან, უფრო იშვიათად, **ერთი რიგი**). ისეთი შთაბეჭდილებაც კი რჩება, რომ უკანასკნელი უკვე თუ არ იქცა მყარ (და მსგავს სიტუაციებში ერთადერთ) გამონათქვამად, ყოველ შემთხვევაში ლამობს მოიპოვოს ეს უფლება. რაც შეეხება **წყებას**, ის ყოველთვის სხვა მსაზღვრელთან ერთად იხმარება: **ერთი, ორი... წყება; მთელი წყება**. რუსულად ორივე მსაზღვრელი ითარგმნება ერთგვარად: **ряд (целый ряд)** და მასთან შეწყვილებული სახელი, როგორც წესი, დგას მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში: **ряд делегатов, целый ряд вопросов** და მისთ.²³.

აღნიშნულ შესიტყვებებში **რიგი** და **წყება** მსაზღვრელ სახელებად გაიაზრება შინაარსის მიხედვით და ამავე სახელების მონაწილეო-

23 ამ ტიპის შესიტყვებები ქართულში გავრცელდა და დამკვიდრდა რუსულის გზით. მათს დამკვიდრებას თავის დროზე მოწინააღმდეგენიც გამოუჩნდნენ (იხ. ალ. ბეგაშვილი, ჩვენი უწმინდესი მოვალეობა: „ლიტერატურული საქართველო“, 27,8, 1965 წ., გვ. 2; მისივე, მიხედვით ერის საუნჯეს: „ლიტერატურული საქართველო“, 10,7, 1970 წ., გვ. 2; გ. შალამბერიძე, ქართული სალიტერატურო ენის ნორმალზაციის საკითხები: „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1970 წ., № 3, გვ. 11—13).

ბით მიღებულ მსგავს სიტყვაშეხამებათა²⁴ ანალოგიით, თორემ გრამატიკულად აქ ისინი საზღვრულებია²⁵ და მათთან შეწყობილ სახელებს ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში საგანგებო სახელიც კი შეარქვეს — „გადასმული განსაზღვრება“²⁶.

რიგი და წყება არსებითებით გამოხატულ მსაზღვრელებს თანამედროვე ქართულში საზღვრული სამგვარად უკავშირდება: ა) რუსულისებურად — საზღვრული დგას მრავლობითი რიცხვის ნათესაობით ბრუნვაში; ბ) მხოლოდობით რიცხვში დასმული საზღვრული შეთანხმებულია მსაზღვრელთან ბრუნვაში და გ) მრავლობით რიცხვში დასმული საზღვრული შეთანხმებულია მსაზღვრელთან ბრუნვაში.

მოვიყვანოთ მაგალითები:

ა) საზღვრული ნათესაობით ბრუნვაშია

რიგი მკვლევარებისა... აღნიშნავენ, რომ... მიმდინარეობს თესლის შემდგომი მომწიფება („საქ. ბუნ.“).

აქვე მოცემულია რიგი განსაზღვრებებისა, რომლებიც ავებენ... ავტორის თვალსაზრისს („საბჭ. ხელ.“).

მაგრამ აქ მთელი რიგი პრობლემებისა უკვე წამოჭრილი იყო („აბ. კომ.“).

... გაიხსნა მთელი რიგი განყოფილებებისა, როგორც არის ქსოვილების მხატვრული დამუშავება, ტანსაცმლის მოდელირება და ა. შ. („კომ.“).

ბოლოში ეს ორი წყება ხეებისა შერგვავებით ერთდებოდა (ნ. ლორთქ.).

ერთი წყება ქირა-აკაცებისა... ფართობს ბოლოდან მოსდგომოდა (ბ. ჩხ.).

... მშვენიერების შექით სამი წყება მსახურთა უკვე დაბრმავებულიყო (ნ. ლორთქ.).

აღსანიშნავია, რომ ამგვარი დაკავშირება სიტყვებისა რიგი და წყება არსებითებთან დღესდღეობით შესამჩნევად იშვიათდება.

ბ) საზღვრული მხოლოდობით რიცხვშია

ამ ტიპის შეხამებამაც ქართულში ფეხი ვერ მოიკიდა და მხო-

²⁴ მაგ., რიგი სტუდენტები, მთელი რიგი ქალაქები, ერთი წყება ამხანაგები და მისთ.

²⁵ მათ გვერდით (ოღონდ მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში) დადგება **ჯგუფი**, **ნაწილი** და მისთ. შინაარსის მქონე არსებითი სახელებიც. მაგ., ვაჰობთ: **ნაწილი** **სტუდენტებისა**, **ჯგუფი** **ექსკურსანტებისა**... მაგრამ არ შეიძლება ვიხმართ: **ნაწილი** (ან **ჯგუფი**) **სტუდენტები**, **ნაწილი** (ან **ჯგუფი**) **ექსკურსანტები** და მისთ. ამის გამოა, რომ აღნიშნული (და მათი მსგავსი) არსებითი სახელები ვერ მოექცევა განუსაზღვრელი სიმრავლის გამოხატველ სახელთა შორის.

²⁶ ნ. ბასილაია, ქართული მართლწერის ძირითადი საკითხები 1956 წ., გვ. 155.

ლოდ აქა-იქ თუ შეგვდებით უმეტესად მაშინ, როცა საზღვრული გამოსატულია აბსტრაქტული, კრებითი, ნივთიერებათა ან მოქმედების სახელით:

ამ დღეს კოსმონავტებმა მოაწყეს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ფუნქციური შემოწმება („კომ.“).

კომისიამ გამოავლინა რიგი სერიოზული ნაკლოვანება („თბილ.“). მის განჯარგულებაში არსებული რიგი მასალა ფაქტიურად გამოუყენებელი დარჩა („კომ.“).

მთელი რიგი რომანი და მოთხრობა ვერც კი მოვიხსენიეთ („მაცნე“).

რიგი აგრონომი და მეტყვევე ამ წლების განმავლობაში ავარაჯზე მეტყვევობას ეუფლება („კომ.“).

გ) საზღვრული მრავლობით რიცხვშია

ამგვარი შემთხვევები თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში ძალიან ხშირად გვხვდება:

აჯანყებულებმა მთელი რიგი ქალაქები აიღეს („სსრკ ისტ.“).

მთელი რიგი ნამუშევრები ბოლომდე არ მიჰყავთ („კომ.“).

დაწვიმება, დასხურება და მთელი რიგი სხვა პროცესები მექანიზებულია („თბილ.“).

ჩვენი რაიონის რიგმა საბჭოთა მეურნეობებმა... გაანადღეს...

გეგმა-ვალდებულებანი („ბახტრ.“).

... მოწოდებას ხელი მოაწერეს მთელმა რიგმა თვალსაჩინო მოღვაწეებმა („კომ.“).

გამოცდა დაიწყო, თუმცა საგანი რიგმა სტუდენტებმა... ნაწილ-ნაწილ უკვე ჩააბარა („ახ. კომ.“).

მსახიობი... მთელ რიგ სცენებს ატარებს შესანიშნავად („კომ.“).

... პროდუქცია ეგზავნება... მთელ რიგ უცხოეთის სახელმწიფოებს („ჭიათ. მალ.“).

სტუმრების კოლექტივი მონაწილეობდა მთელ რიგ საერთაშორისო ტურნირებში („ლელო“).

ამას წინათ მათ... ეწვივნენ რაიონის მთელი რიგი კოლმეურნეობების თავმჯდომარეები („ახ. კომ.“).

ინფორმაცია მიღებულია... მთელი რიგი საწარმოების თანამშრომლებისაგან („თბილ.“).

წიგნში დაწვრილებითაა ნამბობი... მთელი რიგი მსხვილი ოპერაციების მომზადებასა და ჩატარებაზე („გამარჯვ.“).

დღესდღეობით სულ უფრო იშვიათად იხმარება წყება-თი შედგენილი მსგავსი შესიტყვებები:

სოვდაგარს... ერთი წყება სახლები სულ მალაზიებად და ქარვასლებად ჰქონდა ჩაწყობული (გ. წერ.).

ერთი წყება დუქნები მის კანტორასავე იყვნენ ჩაკეტილები (გ. წერ.).

მოლი გავკეთოთ წრე და სანამ მეორე წყება კალათებს ყურძნით აავსებს, წავითამაშოთ (ს. შანშ.).

დღესაც დიდი ლაპარაკი... გამოიწვია ამათმა დამუქრებამ ერთი წყება გლეხების წინააღმდეგ (დ. კლდ.)²⁷.

ამგვარად, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა განუსაზღვრელი სიმრავლის გადმოსაცემად იყენებს რამდენიმე ათეულ სახელს, რომელთა უმრავლესობასთან შეწყვილებული (შესიტყვების მიხედვით დაკავშირებული) საზღვრული სახელის რიცხვი დღემდე არაა გარკვეული, რაც იწვევს ენაში პარალელურ ფორმათა სიმრავლეს და მასასადამე, სიჭრელეს. ნაირგვარობა იყო ძველ ქართულშივე²⁸. საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს ნაირგვარობა მეორეულია (უძველეს ქართულში ოდენმხოლოობითის ხმარების შემთხვევები უნდა გვქონოდა) და გამოწვეულია მეზობელი ენების გავლენით²⁹. სავარაუდებელია, აგრეთვე, რომ ამ ნაირგვარობას ხელს უნდა უწყობდეს თვით ენაში მოქმედი სხვადასხვა ტენდენცია. ერთი მხრივ ანგარიში ეწევა მსაზღვრელის შინაარსს: მსაზღვრელი მასთან შეწყობილი სახელის რიცხობრივ დახასიათებას იძლევა, რიცხვით განსაზღვრული სახელები კი ქართულში ყოველთვის მხოლოობითში იდგა. ენა, მწერალი, მოლაპარაკე ანგარიშს უწევს მსაზღვრელი სიტყვის ამგვარ მნიშვნელობას და საზღვრულს მხოლოობით რიცხვში წარმოადგენს. მეორე მხრივ, საანალიზო შესიტყვებებში სინტაქსურად ძლიერი, წამყვანი წევრია საზღვრული, ისაა მათანხმებელი და მმართველი მსაზღვრელი სახელისა. საზღვრულით აღნიშნული საგანი კი, წინადადების შინაარსის მიხედვით, ერთზე მეტია, მრავალია. საფიქრებელია, რომ შემთხვევათა მეორე ნაწილს სწორედ ეს განაპირობებს — ენა აზრობრივად და გრამატიკულად ათანხმებს ერთმანეთთან სინტაგმის ორ წევრს და ვიღებთ მრავლობითში დასმულ საზღვრულს.

ეს ტენდენცია აშკარად არის გაყონილი ჩვენთვის საინტერესო შემთხვევათა ერთ წყებაში, როდესაც სიმრავლის აღმნიშვნელ მსაზღვრელთან საზღვრული მხოლოობითშია, მაგრამ მასთან დაკავშირებული შემასმენელი — ზმნა გააზრებულია და წარმოდგენილი მრავ-

27 გარკვეულ კონტექსტში ამგვარი შეხამება შეიძლება ზუსტ რაოდენობასაც აღნიშნავდეს. მაგ.: საკონცენტრაციო ბანაკისათვის დამატებით სამი წყება ეკლიანი მავთული შემოევილოთ (დ. ბაქრა); ორი წყება ცოლ-შვილი მიწას მივაბარე ამ ოცი წლის მანძილზე (კ. გამს.); ... ხვალამდის შეაკერინე ორი წყება... პერანგი და აბრეშუმის მისი ამხანაგით (ნ. ლორთქ.) და სხვ.

28 ამგვარი შემთხვევების სტატისტიკა ძველი და საშუალო ქართულის ზოგიერთი ძეგლის მიხედვით („ქართული ოთხთავი“, „ვეფხისტყაოსანი“, „სიბრძნე-სიკრულისა“) საერთო შთაბეჭდილებას არ ცვლის.

29 ივ. იმნაიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 475.

ლობითად. ვიდრე სათანადო მაგალითებს მოვიყვანდეთ, უნდა შევნიშნოთ, რომ საკითხი არ ეხება პირველ და მეორე პირს. პირველ და მეორე პირში შემასმენელი, როგორც წესი, მრავლობითშია: ბევრმა მუშამ გადაწყვიტეთ, ბევრმა მუშამ გადაწყვიტეთ, მაგრამ ბევრმა მუშამ გადაწყვიტა (//გადაწყვიტეს). აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ ხმარების მხრივაც პირველი და მეორე პირის შემთხვევები იშვიათია. სტილისტიკურად პირველი და მეორე პირის ზმნასთან აღნიშნულ შემთხვევაში უფრო მოხერხებულია ნაცვალსახელების ჩანაცვლება: ჩვენ გადავწყვიტეთ, თქვენ გადაწყვიტეთ და მისთ.

მოვიყვანოთ მაგალითები:

დიად ტიროდეს ყოველი კაცი („რუსულ.“).

ბევრი სახლის ჯალაზი და ახლო მეზობელი გყვანან მანდა (თემ. II).

და თუ ვინცობაა გამართლდენ... ბევრმა შვაკაცმან იმ გამტყუნებულს თავისი ფული მათ უხლონ („სჯულ.“).

კორდზე ხართ ბენ სხვადასხვა ხეხილი (ლ. არდ.).

თითო-ოროლა მაგალითი საადგილმამულო ბანკისა ცხადად გვიმტკიცებენ (ილია).

რამდენიმე „ბუნტმა კაცმა“ სახლი ამიკლეს (ალ. ყაზბ.).

შიგნით ღუქანში რამდენიმე მუშა ყვითლად და თეთრად გამოსჭვერდენ (გ. წერ.).

უამრავი შეთქმული მათთვის სამინისტრო კვერთხებს სქედაგდენენ (მ. ჯავახ.).

მრავალი ბუზი გაცოცხლებულა და გაუმართავთ ნაზამთრი ფრთები (თ. რაზ.).

ახლაზარობა ისე კარგად ვერ იცნობდა იმ დიად წარსულს, რომელზედაც ვეგეთი აღტაცებით მოუთხრობდნენ ხოლმე ზოგი მოხუცებულთაგანი (შ. დად.).

კულტურის სახლთან ნავეს ჰყრიან და ანტისანიტარიას ჰქმნიან ახლომდებარე ქუჩების ზოგიერთი მცხოვრები („გამ. დრ.“).

ჩვენი ქალაქის ბევრმა მოწინავე მუშამ გადაწყვიტეს განაგრძონ წინასიუბილო ვაზტი („თბილ.“).

ამ შთაბეჭდილებას ამაგრებს მეორე წყება შემთხვევებისა, რომლებშიც ზმნა მრავლობით რიცხვს აწარმოებს თავისებურად — ფუძის მონაცვლეობით (გღია — ჰყრია, დევს — აწყვია, ზის — სხედან, მოუბამს — მოუსხამს და მისთ.).

... მოასხმევიანა მრავალი სპილო, აქლემი, ჯორი და ცხენი, რომელსა არ იყო რიცხვი („რუსულ.“).

სხვა გარეთ სახლებში უანგარიშო ფრინველი ისხდა („რუსულ.“).

რამდენი თავთავი და მარცვალი ჰყრია ნამკალ-ნათიბში (ვ. ბარნ.).

ერეკლემ წინა ღამეს უბრძანა სამს რჩეულს ვაყვაცს — ჩუმად წაესხათ რამდენიმე ჯარისკაცი (ი. გოგ.).

გაეჩაღებინათ ცეცხლი რამდენიმე ყარაულს და გარს შე-
შოსხდომოდნენ (აღ. ყაზბ.).

რამდენიმე ფილა პატარა ხონჩაზე ეწყო (შ. არაგვ.).

დერეფანში ისხდა რამდენიმე ხნიანი დედაკაცი და მამა-
კაცი (თ. გაბ.).

ერთ ღღეს უამრავ თავადაზნაურს... ერთგულების საზეიმო საპო-
სელი ჩამოსცივიდათ (მ. ჯავახ.).

აქვე ჩვენს თავზე ყმაწვილების სასწავლო ოთახში მრავალი ნამცეცო
ყრიათ (თ. რაზიკ.).

წინ ქუჩისკენ, უბრალო ღია დახლზე ეწყო წურბლებით სავსე რამდენი-
მე წყლიანი შუშის ქილა (რ. გვებ.).

ცას მოუხსნამს იმდენი მარწყვი (რ. გვებ.).

ნაპერწყლებად ვინ დაჰყარა უთვალავი იაგუნდი (რ. მარგ.).

ო, ... რამდენი ვარსკვლავი ფრთებზე შემომსხდომია (ა. აბაშ.)...

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს აგ-
რეთვე განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებები, რომლებშიც
ასახსნელ წევრს ახლავს გაურკვეველი ოდენობის აღმნიშვნელი მსაზ-
ღვრელი. დამოკიდებულ წინადადებათა ერთი ნაწილი ანგარიშს უწევს
მსაზღვრელის შინაარსს და საკავშირებელ სიტყვას მხოლოდობით
რიცხვში წარმოადგენს. მაგალითები:

არ შემიძლია... ავიწერო... როგორ მიყვარს თვითეთული ლოდი, რომე-
ლიც წინ გვეჩეხება (ვუა).

წინათ-დანახული იყოს ყველა მრავალ-გვარი წვლილიცა, რომ-
ელიც აუცილებლად თან სდევს ამისთანა რთულს საქმეს (ილია).

ჩვენ გაგაცნობთ რამდენსამე შესანიშნავ შემთხვევას თავ-
დადებულობისას, რომლითაც თავი უსახელებიათ... (ი. გოგ.).

ყველა... მონაპოვარი, რომელიც უკვე არსებობს... კვლევა-ძიების
შედეგს წარმოადგენს (ივ. ჯავახ.).

ყველა ტრადიცია, რომელიც ინერგება ქალაქის ცხოვრებაში, დღე
მიზნებს უნდა ემსახურობდეს („თბილ.“).

ჩვენი გამოქვეყნებული ბევრი მასალა, რომელიც დანაშაულობებს
ეხება, ... მაღალპროფესიულობას ვერ დაიკვეხნის („ლიტ. საქ.“).

მუზეუმში მრავალი ექსპონატი, რომელიც ეძღვნება თემის...
გაშუქებას („საბჭ. ხელ.“).

მე უამრავი წერილიდან, რომელსაც... რედაქცია იღებს, რამდე-
ნიმეს გამოვარჩევთ („კომ.“).

მაგრამ უმეტეს შემთხვევაში რთული განსაზღვრებითი წინადა-
დების აგებისას მხედველობაში მიიღება არა მსაზღვრელის შინაარსი
და ფუნქცია, არამედ სწორედ საზღვრული სიტყვა, გააზრებულია ამ
უკანასკნელის შინაარსობრივი მხარე და დამოკიდებული წინადადების
საკავშირებელი სიტყვა მის შინაარსთანაა შეხამებული — ვიღებთ
მრავლობითი რიცხვის ფორმებს:

რამდენნაირი ზღვის ცხოველი სტურავდა აქა, ... რომლებიც
ორაგულეებს... არ ენახათ (ი. გოგ.).

ჯერ კიდევ იყო... თითო-ორი ოჯახი, თითო-ორი მამუ-
ლის შვილი, რომელთაც ასულდგმულედა... ანდერძები (ილია).

რა იქნა იმოდენი ქართული წიგნი, რომლებიც... სამარყანდ-
ში წაუღიათ? (რ. ერისთ.).

ოლეგმა გააერთიანა და თავის ძალაუფლებას დაუმორჩილა სლავთა მრავა-
ლი ტომი, რომელთაც მიძიმ ხარკი დაადო („სსრკ ისტ.“).

აი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა სხვადასხვა პრობლემაზე, რომლებ-
იც „საბჭოთა სინამდვილეს“ ეხება („თბილ.“).

... კიდევ ბევრი ამბის გახსენება შეიძლება, რომლებიც ამ ცხოვე-
ლის ღირსებებს შეეხება („თბილ.“).

ბევრი მხატვარი, რომელთა ნამუშევრები წარმოდგენილია ექსპო-
ზიციაზე, აქტიურად მუშაობს ლირიკული პეიზაჟის სფეროში („კომ.“).

მოკლე დროში ავითვისეთ მთელი რიგი სხვადასხვა სახის პროდუქ-
ციის წარმოება, რომლებიც მეტად საჭიროა საირიგაციო მშენებლობა-
ში („კომ.“).

ქალაქების... უნივერსიტეტებში არ იყიდებოდა მთელი რიგი საქონელი,
რომლებიც საკმაო რაოდენობით იყო საბითუმო ბაზრებში („კომ.“).

მსოფლიოს რამდენიმე ექსპედიციამ ეწვია ჰიმალაის ამ რაიონს,
რომელთაც მოსვენებას არ აძლევდა... გზის დალაშქრის აზრი („ახ. კომ.“) და
ა. შ.

ამგვარად, განუსაზღვრელი სიმრავლის აღმნიშვნელ სახელთან და-
კავშირებული საზღვრული სიტყვის რიცხვის „თავისუფლებას“ ხელს
უწყობს ენაში მოქმედი ტენდენცია ფრაზის აგებისას ზოგჯერ ზედმე-
ტად გაეწიოს ანგარიში ფრაზის წევრის შინაარსს. ეს ზოგადენობრივი
ტენდენციაა და, როგორც ცნობილია, ქართულისთვისაც არ არის უცხო.
მაგრამ უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებული მხატვრული თუ პუბ-
ლიცისტური (ორიგინალური და ნათარგმნი) თხზულებების ენაზე და-
კვირვება, თანამედროვე რესპუბლიკური თუ რაიონული პრესისა და
მასობრივი ინფორმაციის სხვა წყაროების (რადიო და ტელეგადაცე-
მების) ენის შესწავლა უეჭველს ხდის, რომ დღესდღეობით გაურკვე-
ველი სიმრავლის გამომხატველ მსაზღვრელთან საზღვრული შემთხვე-
ვათა უდიდეს უმრავლესობაში მხოლოდობით რიცხვში დგას. უამრავი
შეკითხვა, უთვალავი შენაკადი, ურიცხვი უროს გუგუნი, მრავალი მა-
ტარებელი, ბევრი საინტერესო საკითხი, სხვადასხვა სახის ანაბარი, ყვე-
ლა ჩაბარებულ საგანში, ათობით ექსპედიცია, მილიონობით ჭაბუკი და
ქალიშვილი და მისთ. შესიტყვებები დღევანდელი სალიტერატურო
ქართულისათვის ბუნებრივი შესიტყვებებია. მართალია, პარალელურ-
რად ვხვდებით სხვა შემთხვევებსაც³⁰. მაგრამ დარწმუნებით შეიძლე-

³⁰ მაგ.: აქ მრავალი დონისძიებები ტარდება („ახ. კომ.“); ყვე-
ლა არსებული რეზერვები („გამ. დრ.“); ბევრ მედიკამენტებს

ბა ითქვას, რომ განსხვავებით ძველი, საშუალო და გასული საუკუნის ქართულისაგან, თუ გნებავთ, ჩვენი საუკუნის პირველი ნახევრის ქართულისგანაც, შეუდარებლად ჭარბობს მხოლოობითში დასმული საზღვრული. ტენდენცია — სიმრავლის აღმნიშვნელ ყოველგვარ მსაზღვრელთან საზღვრული მხოლოობითში დადგეს — დღეს საკმაოდ გამოკვეთილია³¹. ამდენად საჭირო ჩანს ამ ტენდენციისათვის ყოველმხრივ მხარის დაჭერა.

(„ბახტრ.“); უამრავი შენიშვნებით („კომ.“); ურიცხვი პატივისმცემლები („სახ. გან.“); ზოგიერთი რაიონები („გამ.“); რამდენიმე ეპიზოდები („ლიტ. საქ.“) და მისთ.

³¹ გამონაკლის შემთხვევათა შორის სისტემურია მხოლოდ რიგი და წყება სახელების მონაწილეობით შედგენილი შესიტყვებები, რომლებიც ქართულისათვის კალკებია.